			დანართი N
	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის მიმართ საკრებულოს ფრაქციებისა და კომისიების დასკვნებში დაფიქსირებული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების მდგომარეობის ამსახველი ფურცელი		
	შენიშვნის/რეკომენდაციის ავტორი	**შენიშვნის შინაარსი**	**შენიშვნის გათვალისწინების მდგომარეობა**
1	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია " ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"	1. ბიუჯეტის პრიორიტეტებით განსახორციელებელი პროექტების შეფასების ინდიკატორები მხოლოდ რაოდენობრივი მახასიატებლებით არის წარმოდგენილი. აუცილებელია შეფასების ინდიკატორები მოცემული იყოს ეფექტურობის მახასიათებლებით.	შესაბამისი სამსახურების მიერ ნაწილობრივ გამოსწორდა ინდიკატორების მაჩვენებლები ეფექტურობი განსაზღვრის მხრივ.
		2. პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერილობით ნაწილი ტექსტობრივად ზუსტად ემთხვევა 2022 წლის აღწერილობებს.	ხარვეზი გამოსწორებულია
		3. სერიოზული გადამუშავებას საჭიროებს ქვეპროგრამა 02.03.02. აღწერილობის ნაწილი ანალოგიურია მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში მოცემული პარამეტრების.	**პ**როგრამის აღწერილობით ნაწილში შეტანილია ცვლილებები
		4. ბიუჯეტის პროექტში არ არის მოცემული მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გატანილი ნარჩენების რაოდენობა (ტონებში, კუბ/მ და ა.შ)	2021 წელს 14908 ტონა, 2022 წელს 16 348.48 ტონა
		5. ბიუჯეტის პროექტში არ არის ასახული ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო-ს" მიერ ინიცირებული პროექტები. კერძოდ კი: სოფელ მელექედურში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა, სოფელ შრომაში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია	მელექედურის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების სისტემის მოწყობად 2023 წელს განხორციელდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადება. სათანადო მომსახურების მისაღებად მიმდინარეობს შესყიდვების პროცედურა. სათანადო პროექტის მომზადებისა და ხაჯების გაანგარიშების შემდეგ განხორციელდება დაფინანსების წყაროს და მშენებლობის პერიოდის განსაზღვრა. შრომის ადმინისტრაციულ ერთეულში, კერძოდ სოფელ ხრიალეთში მიმდინარე პერიოდში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მიმდინარეობს წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა, რომელიც მომსახურებას გაუწევს როგორც მოსახლეობას, ასევე ხრიალეთში მდებარე საკომალდელი აღზრდის დაწესებულებას და საჯარო სკოლას. ოზურგეთის ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაციისათვის 2023 წელს განხორციელდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.
		6. ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის განხორციელების გეოგრაფიული განლაგების ადგილები აისახოს პროექტების აღწერილობის ნაწილში.	
		7. ბიუჯეტის პროექტში მითითებულია, რომ საზოგადოებრივი ობიექტების 80% საჭიროებს რეაბილიტაციას. ზუსტად ასეთივე ჩანაწერია 2020-2021-2022 წლების ბიუჯეტებში. დასაზუსტებელია აღნიშნული ჩანაწერის არსი.	

		8. მიუსაფარი ცხოველების პრობლემის მოგვარება	აღნიშნული პრობლემა აქტუალურია, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა. 2023 წელს იგეგმება შინაური ცხოველების აღრიცხვის საპილოტე პროექტის განხორციელება, რათა განისაზღვროს სათანადო ღონისძიებები. ასევე, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, საქართველოს პარლამენტში აქტიურად მიმდინარეობს საკანონმდებლო ინიციატივაზე მუშაობა, რომელიც განსაზღვრას შინაური ცხოველის ყოლის და აღრიცხვის წესებს, რათა შემდგომში თავიდან იქნას აცილებული მათი მიტოვება.
		9. პარკირების სისტემის დახვეწა, განვითარება	როგორც თქვენთვის ცნობილია, 2022 წელს განხორციელდა ორგანიზაციული რეფორმა პარკირების სისტემის მართვის სფეროში. განხორცილდა ა(ა)იპ „პარკირების მართვის ცენტრის“ ლიკვიდაცია, ხოლო პარკირების ორგანიზების და მართვის უფლებამოსილება გადაეცა რეორგანიზებულ შპს „ოზურგეთის სატრანსპორტო კომპანიას“, ხოლო პარკირების წესების დარღვევისათვის სამართლებრივი ღონსძიბების გატარება ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალურ ინსპექციას“. მიმდინარე პერიოდისათვის, მომზადებულია საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ადრე არსებულ დადგენილებაში ცვლილებების განხორციელებას, რაც ასევე მოიცავს თანამედროვე ელექტრონული სისტემის დანერგვას და მომხმარებლებისათვის სათანადო სერვისის შეთავაზებას. აღნიშნული სერვისის დანერგვა განხორციელდება 2023 წლის განმავლობაში.
		10. „მამული, ენა, სარწმუნოება“ ბანერის დაფუძნება ქალაქ ოზურგეთში	ინიციატივა გათვალისწინებულია და აღნიშნული წარწერა გმირთა მოედანის ხედით განთავსდა ქალაქ ოზურგეთში, ფ. მეფის N1 მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ფასადზე
		11. ბახვი-ფამფალეთის დამაკავშირებელი გზის რებილიტაცია	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებულია, 2023 წელს განხორციელდება დაფინანსების მოპოვების სამუშაოები.
2	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებუ-ლოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია	1. პროგრამის „სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა“ ფარგლებში მიზანშეწონილია გაიზარდოს ოზურგეთის საჭადრაკო კლუბი „გურია“-ს თანადაფინანსება 4,0-დან 10,0 ათას ლარამდე.	გათვალისწინებულია
		2. საბიუჯეტო განაცხადის დოკუმენტში წარმოდგენილ აღწერილობით ნაწილს ცალკეული პროგრამების დონეზე აკლია კონკრეტიკა. კერძოდ, პროგრამებსა და ქვეპროგრამებს უნდა დაემატოს საბიუჯეტო სახსრების გამოყენების მიმართულებები კონკრეტული ლოკაციის მითითებით. შესაბამისად უნდა გადამუშავდეს პროგრამის განხორციელების მოსალოდნელი შედეგები და მათი შეფასების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორები.	შენიშვნა გათვალისწინებულია, ბიუჯეტს დანართის სახით ახლავს თითოეულ ქვეპროგრამაზე აღწერილობა და ინდიკატორები
		3. საბიუჯეტო განაცხადის დოკუმენტის ცალკეული ნაწილები და მისი თანმხლები მასალა ზოგიერთ შემთხვევაში წარმოდგენილია ხარვეზით(მუხლი 5; მუხლი 6; მუხლი 7; განმარტებითი ბარათი), რომელიც აუცილებლად უნდა გასწორდეს	შენიშვნა გათვალისწინებულია, განმარტებითი ბარათი დაზუსტებულია
		4. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით, 2023 წლის ბიუჯეტის პროექტსა და 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტში ასახული გენდერული ასპექტები სასურველია წარმოდგენილი იყოს განმარტებითი ბარათის სახით.	შენიშვნა გათვალისწინებულია

3	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა,ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია	1. კონკრეტიზაციას მოითხოვს ქვე.პროგრამების -„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ცენტრის ფუნქციონირება“, „მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა“, „სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“..	შენიშვნა გათვალისწინებულია
		2. .პრიორიტეტულია - „ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა“ - დაფინანსება დასაგეგმი 2023 წლისათვის 2022 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 35 ათასი ლარით, მათ შორის 15 ათასი ლარით გაიზარდა ა(ა)იპ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ცენტრის დაფინანსება, ხოლო 20 ათასი ლარი დაემატა „მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამას. ჯერ ერთი, პრიორიტეტი „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა“, უთუოდ იმსახურებს აღნიშნული პრიორიტეტის დაფინანსების მნიშვნელოვან ზრდას და მეორე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების რეალური შესაძლებლობები და რეზერვები აგროსამრეწველო სექტორშია. ამ მოცემულობის პირობებში ზემოთ აღნიშნული პრიორიტეტის პროგრამების/ქვე.პროგრამების - „სოფლის მეურნეობის განვითარება“ და „მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა“ ჯამური დაფინანსების განსაზღვრა 130,0 ათასი ლარის ოდენობით, ვერ იქნება სასურველი შედეგების მომტანი.	რადგანაც, მუნიციპალიტეტი პირდაპირ ვერ ერება მეწარმეების დაფინანსების და ინვესტირების საკითხებში. პროგრამა გულისხმობს ტრენიგების, ფორუმების, საჯარო და პროფესიული შეხვედრების ორგანიზებას. რაც ხელს შეუწყობს მეწარმეების გაცნობას და სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებში ხელმისაწვდომობას. შესაბამისად 2023 წლის პროგრამით გათვალისწინებული და დაგემილი აქტივობების განსახორციელებლად აღნიშნული რესურსი ამ ეტაპზე საკმარისია.
		3. სერიოზულ გადამუშავებას მოითხოვს პროექტების განხორციელების შედეგების შეფასების ინდიკატორების მაჩვენებლები.	შენიშვნა გათვალისწინებულია
		1, პრიორიტეტის - „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ - დაფინანსება მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრულია 7 040 000 ლარით, რაც მთლიანი საბიუჯეტო ასიგნებების 20,9 პროცენტია. აღნიშნული მაჩვენებელი 2022 წლის ბიუჯეტთან მიმართებით დაგეგმილი იყო 22,5 %-ის ფარგლებში. მაშინ როდესაც, 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი 2022 წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით საბიუჯეტო ასიგნებების ზრდას ითვალისწინებს თითქმის 23 პროცენტიანი პუნქტით. პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ - დაფინანსება ზემოთ აღნიშნული ოდენობით (7 040 000 ლარის) არ არის მართებული.	არსებული რესურსების ფარგლებში, ხარჯების ზრდამ გამოიწვია აღნიშნული გარემოება, თუმცა 2022 წლის ნაშთების ასახვის დროს გათვალისწინებული იქნება შენიშვნა და აუცილებლად მოხდება აღნიშნული პრიორიტეტის გაზრდა საკუთარი სახსრებით.
		2, პრიორიტეტის - „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ - თითქმის ყველა პროგრამა / ქვეპროგრამა მოითხოვს კონკრეტიზაციას, მოსალოდნელი შუალედური და საბოლოო შედეგების და მათი შეფასების ინდიკატორების დაზუსტებას.	შენიშვნა გათვალისწინებულია

4	სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია	3, მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ხშირ შემთხვევაში არ არის მითითებული განსახორციელებელი პროგრამებით გათვალისწინებული პროექტების და ღონისძიებების კონკრეტული ლოკაციები. რაც პროგრამული ბიუჯეტის ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია.	შენიშვნა გათვალისწინებულია
		4, საფუძვლიან გადამუშავებას საჭიროებს განსახორციელებელი პროგრამების / ქვეპროგრამების განხორციელების შედეგად დამდგარი შედეგების აღწერილობითი ნაწილი.	შენიშვნა გათვალისწინებულია, აღწერილობითი ნაწილი დანართის სახით ახლავს ბიუჯეტს
		5, მოსახელობის ხშირი მომართვიანობისა და 60/09 სამაჟორიტარო ოლქის საკრებულოს წევრის მოთხოვნის საფუძველზე 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში მიზანშეწონილად ჩაითვალა სოფ. მერიაში არსებული უსახლკაროთა საცხოვრისის უკანა ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოებისა და კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოების განხორციელება.	შესაბამის სამსახურის მიერ იქნება განხილული აღნიშნული საკითხი 2023 წელს.
5	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია	1. პრიორიტეტების გაზრდილი დაფინანსების პირობები საშუალებას იძლევა პროგრამებისა და ქვეპროგრამებუის დონეზე შემოვიდეს ისეთი მიმართულებების დაფინანსება, რომლებიც წარმოდგენილ პროექტში ნაკლებად ან საერთოდ არაა გათვალისწინებული. ასეთია პრიორიტეტი „კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი“, რომელშიც თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის დაფინანსება გათვალისწინებულია მხოლოდ 154,0 ათასი ლარით. ამავე პრიორიტეტის პროგრამის „სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა“ აღწერილობით ნაწილში მოცემულია მხოლოდ სპორტის სახეობათა ჩამონათვალი და არ არის მოცემული ცალკეული სპორტული სახეობის მხარდაჭერის მიზნით მათი დაფინანსების ოდენობა. გასათვალისწინებელია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული სპორტული წრეებიდან მოსწავლეთა მზარდი დაინტერესება ჭარდაკის სახეობით. სასურველია სპორტის ეს სახეობა მეტად იქნას მხარდაჭერილი პრიორიტეტის ფარგლებში.	2023 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ჭადრაკის დაფინანსების ზრდა, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებას ჭადრაკის პოპულარიზაციისათვის.
		1. საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის მოწესრიგება. კერძოდ, სატრანსპორტო პოლიტიკაზე პასუხიმგებელი მუნიციპალური სატრანსპორტო ორგანიზაციის სისტემის გამართვა, გეგმა/გრაფიკის მოწესრიგება, ავტო-პარკის განახლება, პარკირების პრობლემის მოგვარება და ერთიანი სატრანსპორტო პოლიტიკის შემუშავება. შშმ პირების საჭიროებების, ერთიანი სატრანსპორტო სისტემის განუყოფელ ნაწილად მოაზრება;	როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩვენი გუნდის 8 პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტი არის ტრანსპორტი და სატრანსპორტო პოლიტიკა. შესაბამისად, აქტიურად ვახორციელებთ სათანადო ღონისძიებებს სატრანსპორტო პოლიტიკის შემუშავებისა და დახვეწის მიმართულებით.

6	ფრაქცია „ოზურგეთის საქართველოსთვის“	2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე, დედით და მამით ობოლი სტუდენტების სწავლის საფასურის თანადაფინანსება;	ფინანსური რესურსების გათვალისწინებით, 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში ვერ იქნა გათვალისწინებული.
		3. განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის (შშმ პირებისთვის) დაფინანსების 100%-ით გაზრდა. 1 და 2 კატეგორიებისთვის დაფინანსების გაზრდის მოთხოვნა	2023 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამის დაფინანსების ზრდა, 2022 წელს აღნიშნული პროგრამა ფინანსდებოდა 12 ბენეფიციარისათვის, ხოლო 2023 წელს დაფინანსდება 40 ბენეფიციარისთვის (დადგენილია კვლევის შედეგად). პროგრამის ბიუჯეტი 180 000 ლარია. სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებული (მინიჭებული ქულა არ უნდა აღემადებოდეს 150 000) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის გათვალისწინებულის 2023 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულის ჰიგიენური საშუალებების შეძენის თანადაფინანსების ქვეპროგრამა. აქვე გაცნობებთ, რომ სოციალური და ჯანდაცვის პრიორიტეტის დაფინანსება ჯამში 593 000 ლარით.
		4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტისთვის, საკანალიზაციო/გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა; მომავალი წლის ბიუჯეტში თანხები გათვალისწინებული იქნეს საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობისთვის საპროექტო დოკუმენტაციის მოსამზადებლად;	განხილული იქნება აღნიშნული საკითხი 2023 წელს
		5. ზვანის უბანში საბავშვო ბაღის მშენებლობას წლებია მოქალაქეები ითხოვენ; შესაბამისად, მომავალი წლის ბიუჯეტში ჩაისვას ზვანის უბნის, თანამედროვე სტანდარტების მქონე, საბავშო ბაღის მშენებლობა;	აღნიშნული საკითხი არ არის გათვალისწინებული ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში, თუმცა აქტიურად ვთანამშრომლობთ მუნიციპალური განვითარების ფონდთან სათანადო ინფრასტრუქტურის მშენებლობისათვის.
		6. მარტოხელა პენსიონორებზე სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და სოციალური/ვაუჩერული დახმარების პაკეტის შემუშავება.	ამ ეტაპზე არასაკმარისი რესურსების გამო ვერ იქნა გათვალისწინებული
		1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის თანმხლებ ბიუჯეტის გადასახდელების ცხრილში წარმოდგენილი ხარჯები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციებთან - მათ შორის განსაკუთრებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებთან, ასევე შპს-ებთან მიმართებაში, სავალდებულო წესით, გაიწეროს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის N99 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ V თავით გათვალისწინებული და ქვემოთ მოცემული „ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის“ ცხრილის მიხედვით დეტალურად ჩაშლილი სახით. ამასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ყოველ საბიუჯეტო ორგანიზაციასთან, მათ შორის ა(ა)იპ-თან თუ შპს-თან მიმართებაში, სავალდებულო წესით, მიეთითოს თითოეულ მათგანში (როგორც შტატით, ისე შრომითი ხელშეკრულებით) დასაქმებულ მომუშავეთა რიცხოვნობა.	შენიშვნა გათვალისწინებულია , დანართების სახით

7	საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი	2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში, „სოციალური პროგრამების“ (პროგრამული კოდი: 06 02) ფარგლებში, გაითვალისწინოს (დაამატოს) ახალი, დამოუკიდებელი ქვეპროგრამა - „სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსება“ (პროგრამული კოდი: 06 02 13), შესაბამისი ფინანსური (ქვეპროგრამისთვის კონკრეტული საბიუჯეტო ასიგნების გამოყოფის) უზრუნველყოფით, რისთვისაც, რეკომენდაციის სახით, წარმოგიდგენთ აღნიშნული ქვეპროგრამის დეტალურ საბიუჯეტო აღწერილობას:	აღნიშნული პროგრამა მოქმედებს 2022 წლიდან , გაგრძელდება 2023 წელსაც.
		3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივმა ხელისუფლებამ უზრუნველყოს ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში საგამოფენო ექსპოზიციისა და შიგა ინტერიერის მოწყობისთვის საჭირო ფინანსური სახსრების საბიუჯეტო ასიგნების) გათვალისწინება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში, სპეციალური მუხლის სახით	ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტს საკმარისი რესურსი არ აქვს, მოხდება აღნიშნულ საკითხზე შესაბამის სამინისტროებთან კონსულტაციები, რესურსების მოზიდვის მიზნით.
		(ირაკლი პაპავა) 4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა (მერი / მერია / საკრებულო) იმუშაოს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამის უმაღლეს ორგანოებთან, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან არასათანადო (არასრული) ფინანსური რესურსების გადმოცემით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის მიყენებული ზიანის გამო, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან შემოსავლების კომპენსირების მოთხოვნისა და მიღების მიმართულებით.	მიმდინარეობს კონსულტაციები დამატებითი რესურსების გამოყოფის თაობაზე.
		(ირაკლი პაპავა) 5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში სრულყოფილად აისახოს „რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის“ (იხ. ორგ. კოდი - 05 04) პროგრამის აღწერილობითი ნაწილი, დაიხვეწოს პროგრამის „მოსალოდნელი საბოლოო შედეგის“ ფორმულირება და პროგრამის აღწერილობითი ნაწილი, თავისი არსით, შესაბამისობაში მოვიდეს, საკუთრივ, პროგრამის სახელწოდებასთან („რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა“).	შესაძლებელია პროგრამის დახვეწა, კონსულტაციების და გზით
		(ირაკლი პაპავა) 6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა (მერია / საკრებულო) უზრუნველყოს პეტიციის წესით ინიციირებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბაილეთის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრის კონჭკათის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციისთვის (ასფალტის საფარით მოწყობისთვის) საჭირო საბიუჯეტო სახსრების მობილიზება და აღნიშნული პრობლემის გადაჭრის / მოგვარების ასახვა (გათვალისწინება) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის ხარჯვით ნაწილში.	შესაბამისი სამსახურის მუშაობს რესურსების მოძიების კუთხით.

8	ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	1. სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ოჯახების 18 + შშმ პირებისთვის ჰიგიენური საშუალებების თანადაფინანსება	სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებული (მინიჭებული ქულა არ უნდა აღემადებოდეს 150 000) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის გათვალისწინებულის 2023 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულის ჰიგიენური საშუალებების შეძენის თანადაფინანსების ქვეპროგრამა.
		2. სილაურის ტერიტორიულ ერთეულში მდინარე ლოფართოზე ნაპირსამაგრი ქვის გაბიონის მოწყობა	აღნიშნული საკითხი დაზუსტდება. ბიუჯეტის პროექტით გატალისწინებული არ არის.
		3. წყალმომარაგების შიდა ქსელის მოწყობა ა) დაბა ნასაკირალის პირველ რაიონში ბ) დაბა ნარუჯის 1-ელ, მე-3 და მე-6 რაიონებში გ) სოფელ ბაილეთში	წყალმომარაგების საკითხებთან დაკავშირებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია და შპს სატისი ახორციელებს კვლევისა და საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების სამუშაოებს. იმ ადმინისტრაციული ერთეულები სადაც ამჟამად წყალმომარგებით ვერ საგებლობს მოსახლეობა იქნება შესწავლილი და განისაზღვრება ქსელის მოწყობის სამუშაოები.
9	გურიის სამოქალაქო ცენტრი	ქალაქ ოზურგეთის განვითარების გენერალური გეგმის შემუშავება	მუნიციპალიტეტი აქტიურად მუშაობს ინფრასტრუქტრის და რეგიონალური განვითარების სამინისტროსთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად.